ეთიკის კომისიის
ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 04.05.2017
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 013/17

შეკითხვა:

ადვოკატი „ბ“ წარმოადგენს კლიენტის ინტერესებს სასამართლოში. მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატმა „გ“-მ სასამართლოში წარმოდგენილ წერილობით მიმართვაში ადვოკატ „ბ“ შეაფასა, როგორც „მატყუარა და თაღლითი“. მოცემულ შემთხვევაში, რამდენად არღვევს ადვოკატი „ბ“ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებს?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი: „ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლის მიხედვით, „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები“.

ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებები, რომელიც უკავშირდება მის პროფესიულ საქმიანობას, უნდა შეესაბამებოდეს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის სტანდარტებს.

მოცემულ შემთხვევაში, წერილობითი განცხადების წარდგენის დროს ადვოკატს შეეძლო საკუთარი პოზიცია დაეფიქსირებინა ისე, რომ არ გამოეყენებინა ისეთი სიტყვები, როგორიც არის „მატყუარა, თაღლითი“, რადგან აღნიშნული სიტყვები არ ექცევა პირის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში, შეურაცხმყოფელია და ამასთან აღნიშნული სიტყვები მაღალი ალბათობით არ წარმოადგენს პროფესიულ და საქმიან დამოკიდებულებას საკითხისადმი.

დასკვნა:

ადვოკატმა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, მათ შორის სასამართლოში წერილობითი განცხადების წარდგენისას უნდა იმოქმედოს პროფესიული ღირსების შესაბამისად და თავი უნდა შეიკავოს ისეთი სახის გამონათქვამებისგან, როგორიცაა „მატყუარა და თაღლითი“. ადვოკატის ქმედება არ უნდა გასცდეს გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს, მათ შორის, პაიტვი სცეს კოლეგას და დაიცვას პროფესიული ღირებულებები.

ეთიკის კომისიის რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.